ხელშეკრულება N25

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი **05 სექტემბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება“ (შემდგომში _ ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ ინჯიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეტალი-გიგანტი I“-ს ს/კ 417878791 (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) დირექტორი ალექსი გოგიაშვილი, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახ
ებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტი**

#	დასახელება	CPV კოდი	განზ.	რა-ბა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	მრგვალი მილი 42-იანი	44163100	მეტრი	36	4.65	167.40
სულ						**167.40**

2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **167.40 (ასსამოცდაშვიდი ლარი და ორმოცი თეთრი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადით.

4.2. მიწოდების ადგილი გორი, შინდისის ქ., #23.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. **შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

5.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე და მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი კახაბერ გოგიაშვილი.

6. **ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4. წინასწარი გადახდის მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.

6.5. დაფინანსების წყარო - 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. შემსყიდველის სახელით ხელმოწერით ასევე ვადასტურებ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტო	შპს მეტალი-გიგანტი I
ს/კ 417886773	ს/კ 417878791
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
კოდი : TRESGE22	ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა 749633460	ა/ა GE64 TB77 0633 6080 1000 02
მისამართი: გორი, ბ. ჯუღაშვილის ქ., #4	მის: ქ. გორი, ე. ჯუღაშვილის ქ., №95
დირექტორი ნუგზარ [illegible]	დირექტორი ალექსი გოგიაშვილი

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ "თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის ადრეული სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტო"

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 05 სექტემბერი 2017 წ.

მიმწოდებელი: შპს მეტალი-გიგანტი I (ს/კ 417878791)

ხელშეკრულება: N-25

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" **მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტოს" სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი ნ.ინჯია

მატერიალური-ტექნიკური უზრუნვ. მთ. სპეც. კ. გოგიაშვილი

შესყიდვების უზრუნვ. განყოფილების უფროსი გ.ნასყიდაშვილი